№ 161 ივლისი 31, ოთხშაბათი 1891 ივლისი 31, ოთხშაბათი № 161

ივერია

გაზეთი ღირს

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1891

გაზეთი „ივერია“ 1-ლ აგვისტოდამ წლის დამლევამდე ღირს 5 მან. 50 კაპ.

„ივერია“

გამოვა 1891 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1891 წლისათვის მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელი იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დასაკვეთისათვის შესასხვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

სასოფლო მეურნეობის სოფ. წინამძღვრიანთ-კარის სასწავლებლისთვის **ორი მასწავლებელია საჭირო**, კურს დამთავრებული სამასწავლებელო ინსტიტუტში, ანუ უმაღლესს სასწავლებელში. მასწავლებელს წელიწადში სამოცი თუმანი ექმნება, ორი ოთახი, თავისის დერეფნით, სამზარეულო და სარდაფი. ერთმა იმათგანმა სკოლის ხოროს ლოტბარობა უნდა გაუწიოს. ვისაც ჰსურს, ამ სკოლას ემსახუროს, უნდა მზრუნველს სკოლისას პირად მიართოს თხოვნა, თავისის ატესტატით.

მზრუნველი სკოლისა სცხოვრობს ქ. ტფილისში, ელისაბედის ქუჩაზე, № 86. (5—2)

ახალი ამბავი

⁂ გუშინ, ნაშუადღევის $4^1/_2$ საათზე, შემდეგი დეპეშა მოგვივიდა აბასთუმნიდგან; „გულითად ვწუხვართ ჩვენის ძვირფასის პოეტის თავ. მამია გურიელის დაკარგვას. ჩვენც მისს ოჯახსა და ნათესავებთან ერთად ვგლოვობთ. ეს არის ეხლა გადავახდევინეთ პანაშვიდი გარდაცვალებულის სულის მოსახსენებლად.

აბასთუმნელი ქართველები“

⁂ ამ ჟამად იბეჭდება ცალკე წიგნად და ამ დღეებშივე დაურიგდება ყველა წიგნის მაღაზიას გასასყიდად აწ განსვენებულის მამია გურიელის „დემონი“.

⁂ გუშინწინ, 29 ივლისს, ტფილისში, პოლიციის მე-9 განყოფილებაში გარდაიცვალა დიდად მოხუცებული ადამიანი, სალომე იორდანაშვილისა, რომელსაც რუსების საქართველოში შემოსვლა კარგად ახსოვდა. სალომე იორდანაშვილისა 120 წლისა იყო, თოთხმეტი წელიწადია, რაც დაუსინათლოვდა და არასოდეს ავად არ გამხდარა. ეხლაც, სიკვდილის წინად, მხოლოდ ერთი დღე იყო ავად და მაშინვე გარდაიცვალა.

⁂ ამ ექვსის წლის წინად ქალაქის გამგეობამ განიზრახა ქუჩებში სხვა-და-სხვა განცხადებათა გასაკრავად ბოძების დადგმა და ამ საქმის იჯარით გაცემისათვის ვაჭრობა დაჰნიშნა. მაშინ ეს საქმე ბ-ნს ევანგულოვს დარჩა და თანახმად პირობისა დასდგა თავისის ხარჯით ქალაქის სხვა-და-სხვა უბნებში სულ 50 ბოძი და განცხადებათა გაკვრაც ამის ხელში გადავიდა, ხოლო ქალაქს აძლევდა წელიწადში რვა თუმანს.

ექვსი წლის ვადა მომავალ მარიამობისთვის 8 რიცხვს თავდება, ამიტომ გუშინ, 30 ივლისს, ქალაქის გამგეობაში დანიშნული იყო ზემოხსენებულ ბოძების იჯარით გაცემა სამის წლის ვადით. იჯარით აღების მსურველი 12 კაცი იყო: სომხურ ჟურნალის „თარაზ“-„აღბიურ“-ის რედაქტორ-გამომცემელი ტიგრან ნაზარიანცი, თვითონ ეხლანდელი იჯარადარი ა. ევანგულოვი, წიგნის მაღაზიის პატრონები ლ. ხიდდეკელი და ბ-ნი ბეგიჩევი, მესტამბეები ე. ხელაძე და მ. ვართანიანცი და სხვ. იჯარა დარჩა მ. ვართანიანცს წელიწადში 1351 მანეთად.

⁂ ჩვენ მივიღეთ ოჯახში საკითხსახმარებელი სამკურნალო წიგნი შედგენილი და გამოცემული ილ. ვა—ძის სულაქველიძის მიერ. ავტორს წიგნაკისთვის დაურქმევია „სიმრთელის კიდობანი.“ წიგნი განიყოფება შვიდ ნაწილად: პირველს ნაწილში აღწერილია ცნობა ადამიანის სხეულსა და რამდენსამე უმთავრესს ორგანოზე. მეორე შეიცავს გიგიენას ანუ ცოდნას, თუ როგორთ განაგრძოს ადამიანმა თავისი სიცოცხლე და რა საშუალებით აიცილოს თავიდგან უდროოდ სიკვდილი. მესამე ნაწილი შეიცავს ცნობას დედაკაცის დაორსულებასა და მისს შედეგზე. მეოთხე—ცნობას სენის წარმომადგენელს მიზეზებსა, მისს გამოცნობასა და წამლობაზე შესახებ მოწიფულთა. მეხუთე — ყმაწვილთა ავადმყოფობასა და მათ წამლობაზე. მეექვსე ნაწილი შეიცავს ცნობას და დარიგებას იმ სახად-სენებზე, რომელიც მოსახადია სიყმაწვილეში, აქვეა დარიგება შესახებ სახადის სენით ავადმყოფის მოვლისა. მეშვიდე ნაწილი შეიცავს ცნობას საწყავ-საზომავსა, წონის ქვებსა, დასალევსა და წასასმელს წამლებზე და საჭირო ცოდნას ტერმომეტრის ხმარებაზე. წიგნი სუფთად და კაი ქაღალდზეა დაბეჭდილი ფოთში, ტულუშის სტამბაში და შეიცავს 224 გვერდს. ფასი ერთი მანეთია.

⁂ სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს კარგი აზრი მოსვლია: განუზრახავს მოძრავ გამოფენების გამართვა. მოივლიან იმ ადგილებს, სადაც უფრო ბევრი მცხოვრებია და რომელსამე მრეწველობას მისდევენ. გამოფენა უნდათ გაჰმართონ ბოსტნეულობისა, რძისა, მეფუტკრეობისა და ხელობის სხვა-და-სხვა ნაწარმოებისა. სამინისტრო ამისათვის განსაკუთრებით მცოდნე კაცს დანიშნავს და იმის ხელმძღვანელობით გამოფენა გაიმართება თუ გემებზედ, რომ მდინარეებით შეეძლოთ მოგზაურობა ერთის ადგილიდამ მეორეს და თუ რკინის გზებზე ღია ვაგონებში. გამოაწყობენ ვაგონს, გაჰმართვენ შიგ გამოფენას, გამოაბმენ რომელსამე მატარებელს და მოივლიან ყველა იმ ადგილს, რომელიც წინადვე დანიშნული ექნებათ.

ეჭვი არ არის, ამისთანა გამოფენები დიდს სარგებლობას მოუტანს ხალხს და მის წარმოებასაც ბევრად გააუმჯობესებს ყოველის მხრით.

⁂ მომავალს 1893 წელს ოთხასი წელიწადი შესრულდება მას აქედ, რაც პირველად ქრისტეფორე კოლუმბომ ამერიკა აღმოაჩინა და ევროპას გააცნო ეს ხმელეთი. ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატები დიდის ამბით აპირებენ ამ დღესასწაულის გადახდას და, სხვათა შორის, საერთაშორისო სამრეწველო—სამხატ-

---

ფელეტონი

სოფლის სურათები

მრავალ-გვარია სოფელი, მისი მდებარეობა, მცხოვრებთა ზნე-ხასიათი. ერთი საზოგადო თვისება სოფლებს ისა აქვს, რომ აქა ჰბუდობს უმეცრება, დათარეშობს ცრუ-მორწმუნეობის გუნდი, აქა მეფობს უზრუნველობა, თუმცა კეთილი ცხოვრება-კი, სიმართლით რომ ვსთქვა, სოფელსაც უყვარს და გრძნობა თავის დაცვისა ხელში ფარად აღუპყრია. უნივერსიტეტად სოფელს ქადაგ-მკითხავების ქოხ-მახობა დაუფუძნებია, სადაც გონიერებისა და ზნეობის გაკვეთილებს მცხოვრებთ უვიცნი, უმეცარნი და ბრიყვნი მამანი და დედანი უკითხავენ... უმთავრესი სოფლის მოთხოვნილება, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, ერთად-ერთი—გაძღომაა. როცა ჰშიან სოფელს, მარტო მაშინ ამუშავებს გონებას სიცოცხლის სახსრის მოსაპოებლად, და როცა გაიძღობს კუჭს, მაშინ გონებას დააძინებს, აღარა სწადიან ფიქრი, სჯა, მოსაზრება. რადა? რისთვის? თითქოს გაძღომა, როგორც შედეგია მოცადობისა, ფიქრისა, იმავე დროს მიზეზიცაა გონების აღფრთოვანებისა, „სწავლა შევიძინო“-ს სურვილის აღორძინებისა? იმიტომ, რომ მარტო გაძღომაა სოფლის საგანი, მარტო გაძღომაში ჰხედავს კაცის დანიშნულებას. სოფლის იდეალი ფეხ-მოკლე და ფრთა შეკვეცილია, ამაზე მეტი არ უსწავლია, ამაზე მეტი არავისაგან გაუგონია. ან-კი გაძღომას რა სწავლა უნდა, დედის მუცლიდამვე თანა ჰყვება ყველა სულიერს, განა მარტო ადამიანს! მოკლედ რომ ვსთქვა, მოსანათლავია ხელახლად სოფლის გონება და მონათვლით-კი მაშინ მოინათლება, როცა სოფელს აზრი ესტუმრება, სხვა აზრი, გარდა გაძღომისა, და ისიც ისეთს პატივისცემას მოიპოვებს, ისეთს ესტიბარს გაიკეთებს, როგორც პირველსა აქვს გაკეთებული...

დიაღ, ეს ასეა და ყველაზე მეტად საყურადღებო ჩვენში სოფელია,—ჩვენი ძალა იქ არის დამარხული. ღვთით, თითო-ოროლა კაციცა ჩნდება სოფელში მადლიანი, მოწადინებული, არგოს რამ სოფელს, მოიყვანოს გონზე, მაგრამ სასოწარკვეთილება ჰრჩებათ ბოლო დროს გულში. რადა? მადა, რომ საქმეს უხეიროდ ჰკიდებენ ხელსა, ხალხს სანამ გაიცნობენ, მანამ ერჩიან საქმეს და თვით საქმისაც არ იციან, საიდგან დაიწყონ და სად გაათავონ...

**

თუმცა სოფლის საქმე ამ გვარად მიმდინარეობს დღეს, როგორც ზემოდ მოგახსენეთ, მაგრამ ჩემს თვალს და გულს მაინც იტაცებს იგი, იტაცებს მისი ბუნება; მრავალ-გვარი სურათი მეშლება თვალ-წინ: ზოგი ბეჩავი ცხრა ათ-კომლიანი, მწირს ადგილას აშენებული, გატიტვლებულ-გაშიშვლებული, სხვა დიდი, ბაღ-ბაღჩით შეზავებული. მაგონდება სხვა-და-სხვა სურათი სოფლისა სხვა-და-სხვა დროს. მოვიგონოთ ჯერ გაზაფხულს სურათი, როცა ბუნება სამარიდგან სდგება და ირთვება, იღვიძებს, იფხიზლებს და თვალებს იფშვნეტს, თითქოს ამბობსო: მეყო, რაც მეძინა, ახლა დროა, აღვსდგე და, ავაყენო ისინიც, ვინც მე ზურგზე მკიდია, იმათაც მივანიჭო სიცოცხლეო!..

დედამიწა გაიზმორება, გაგულ-უხვდება, დაიყრის გულ-მკერდზე ყვავილს, მწვანით იმოსება, ხეებს ფოთოლს დაასხამს და ააყვავებს; ვენახიდგან პატარძალივით მორცხვად წითლად გამოიყურება ატამი... ჯეჯილი ღაღანებს, მწყერი აფხიზლებს მთვლემარეს; ვენახში ჰოტი იძახის, ოლოლი ბანს ეუბნება, მერცხალი ცელქად დაჰფრინავს და, როგორც მახარობელი, გულის გამხარებელი, ჰიკჰიკებს, მოხუცთა ჰლოცავს, ბაღდებს სწყევლის, სწყევლის იმიტომ, რომ ბინას მიშლიან, შვილებს მიწიოკებენო: „ბებერ ცხონდი, ბებერ ცხონდი, ყმაწვილებო, ჟლმიტო“! გუგული უხეიროდ ილანძღება... პატარა მდინარეც სუქდება დღითი-დღე, ბუზღუნს მოჰყვება წვიმითა და დამდნარის თოვლის წყალით დამთვრალი. ეს უფრო ახმიანებს სოფელს, სიცოცხლის ფერს აძლევს, მისძახის:

სოფელო, გამოიღვიძე,
გაზაფხული დგას კარზედა;
გეყოფა მაგდენი ძილი,
ხელი მოისვი თავზედა;
ერთხელ კეთილიც რამ ჰქმენი,
ნუ ხარ დამდგარი აგზედა!

ბარმა, სახნისმა და საკვეთელმაც ფერი მოიწმინდა, შრომობენ და იმიტომ. გაზაფხულზე დაწყებულს საქმეს ზაფხული გვირგვინს დაადგამს, ხოლო შემოდგომა მიესევა, სწორედ თულივით თავზე დაეცემა ბუნებას და ცრცვას დაუწყებს. ეს ის დროა, როცა ნაომარს, ნაოხარს დაემსგავსება ბუნება, ბალახი ჩავა, ტყე გაშიშვლდება, ვენახებს შნო დაეკარგება. ბულბული გაჩუმდა, აღარ სწადიან მღერა, ეხლა ყვავს დარჩა ბურთი და მოედანი, კეისარივით ამაყად დამჯდარა კაკლის კენწეროზე და თავის კანტურით „ყვა-ყვაო“-ს დასჩხავის სოფელს თავზე. გამხმარის, გაწითლებულის, მწირის სერიდგან ტორუა დაჰმღერის და ქარისაგან გატაცებული დაჰკასკასებს სოფელს თავზე. სოფლის ბოლოზე დღეს გაბეჩავებულის სოფლის მდინარის პირზე ჩამწკრივებულის ჩალიდგან ამოფრინდება მიმინოსაგან დამფრთხალი ღალღა ჰყივილით, გაჯავრებული, კაცს ეგონება, ეს არის უნდა, გადიკარგოს სადმე, ამ არე-მარეს ეთხოვებაო, მაგრამ იქვე ახლოს-კი ჩამოეშვება „კუტკუტით“. მარტო ჯანღს არ ეცვალა ფერი, მოაქვს ჟინჟლი და საფლავის ქვასავით აწვება სოფელს თავზე... ახლა ზამთარიც მოკლედვე მოჰყვება. გადაჰლესს ყინულით ბანებს, საბძლებს, ყველას სუდარას აცმევს... მგლები ღმუიან, მელები ჩხავიან... ცივა, ნამქერს ისვრის. იმას რა უჭირს, ვისაც შეშაც მიტანილი აქვს სახლში, პური და ღვინოც უხვად! ბრალი იმისი, ვისაც არა აბადია-რა, ვინც ბედს დაუჩაგრავს და გაულახავს, ვინც იწევს და ველარ ამდგარა, ვისაც აღარსაითა აქვს სახსარი წასვლისა, თავის ხსნისა, გათბობისა და გაძღომისა...

**

ვინ არის სოფლის პატრონი? ვინ უჩვენებს გზას? ან თვითონ სოფელს რა სწადიან, რა მოსწონს?... რა ეწუნება? რას აკეთებს მღვდელი? რას აკეთებს მასწავლებელი სოფლისა? რას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვრო გამოფენის გამართვაც უნდათ ქალაქს ჩიკაგოში. შტატების მთავრობას უკვე უცნობებია რუსეთის მთავრობისათვის ეს გარემოება და უთხოვნია, მონაწილეობა მიიღეთ ამ გამოფენაში. ფინანსთა მინისტრს ცალკე კომისია შეუდგენია იმისათვის, თუ როგორ უნდა გაიმართოს ჩიკაჰოს გამოფენაზე რუსეთის განყოფილება. საუკეთესო წარმომადგენელთ რუსეთის სამხატვრო—სამრეწველო წარმოებისას სამინისტრო აცნობებს ამას და სთხოვს, ჩიკაჰოს გამოფენაში მონაწილეობა მიიღონ.

⁂ მომავალ 1-ლს მარიამობის თთვეს რკინის გზის მართველობამ დანიშნა ვაჭრობა, რომ იჯარით გასცეს რკინის გზის სადგურებზედ ჟურნალ-გაზეთებისა და წიგნების გაყიდვის საქმე. ამის მსურველნი ბლომად აღმოჩენილან და მათ შორის: ტფილისში წიგნის მოვაჭრენი ბბ-ნნი ხიდეკელი და ბეგიჩევი, ქალაქის აფიშების გასაკრავ ბოძების იჯარადარი ევანგულოვი, ბაგრ. მირიმანიანცი და ბათუმში წიგნის ვაჭარი მ. ნიკოლაძე.

⁂ ძმ. ზუბალოვების ნავთის ქარხანაში ცეცხლის გაჩენის გამო რომ ცნობა გვქონდა ამ ორის დღის წინად, ეხლა იმას შეგვიძლია დავუმატოთ, რომ ცეცხლს ქარხნის პატრონისათვის 150 ათასს მანეთზე მეტი ზარალი მიუცია. ამას გარდა სამი კაცი მუშა ცეცხლს უმსხვერპლია და რამდენიმეც დაშავებულა. ცეცხლის გაჩენის მიზეზი ჯერაც ვერ გამოუკვლევიათ.

⁂ სპარსეთიდამ ბაქოში ჩამოუტანიათ ოქრო 119 ათასი მანეთის ღირებული. 27 ივლისს ეს ოქრო ბაქოდამ ფოსტით პეტერბურგს გაუგზავნიათ.

⁂ სოფ. წყალწმინდიდგან (ოზურგეთის მაზრა) გვწერენ: ამ თთვის 16, ნაშუადღევს, აქ ავაზაკებმა სიმონ ქორიძეს სახლი გაუტეხეს და გაჰქურდეს. ქურდებს იატაკი აეყარათ და ისე შესულიყვნენ სახლში. სახლში ყველაფერი მიენგრ-მოენგრიათ, ყუთები სულ დაეღოთ, იქნება ფული ჰქონდეს შიგაო, მაგრამ იმედი გასცრუებოდათ: მხოლოდ საათი და ცხრა წყვილი ფეხსაცმელი ეპოვნათ და ის წაეღოთ.

⁂ სურამი: სურამის ახლოს, სოფელს ბრილში, ეს სამი დღეა, რაც ერთი ახალგაზდა მოკლული თათარი ჰნახეს. არავინ არ იცის, ვინ არის ან ვისი მოკლულია საწყალი ახალგაზდა უპატრონო თათარი. მოკლული თოფით არის. ტყვია მარჯვენა ფერდიდგან მარცხენაში გავარდნილა. ხელს არავინ არა ჰკიდებს და არც არავინა ჰყავს პატრონი, რომ მისი გვამი მიაბაროს მიწას, და აქნობამდე ისევ იქა დევს.

⁂ სოფ. ძარწემი (ცხინვალის ხეობა): წელს რვა მკათათვემდე ჩვენს მინდვრებსა და ვენახებში რომ გადაეხედნა თვით შურითა და ღვარძლით სავსე მტრის თვალს, იმასაც-კი იამებოდა და გულში ნათელი ჩაადგებოდა სვეტად. ყოველ ფეხის გადადგმაზე, როგორც იტყვიან ხოლმე, ღმერთს თავისი მადლიანი კალთა ზედ დაებერტყა ჩვენის მოსავლისთვის და შიგ უფლის თვალი ტრიალებდა. თავთავ-დაყრილი და დაპურებული ყანა პირთამდე გალიცლიცებულ ზღვასავით ღელავდა და იზნიქებოდა. ბევრმა გლეხ-კაცმა ახალს ორმოებს დაუწყო თხრა, რადგან ძველი ორმოები არ ეყოფოდა და ჰინახული ზეზე დარჩებოდა. ბევრის დაჩაგრულმა და დანაღვლიანებულმა გულმა გაიცინ-გაიღიმა ტკბილად, მაგრამ სიცილ-ღიმილი მალე ჩაამწარა შეუბრალებელმა სეტყვამ და ტირილად გადაუქცია. ღვთისაგან მოცემული წყალობა ბუნებამ შეიშურა, დანანდა ჩვენთვის და რვა მკათათვეს დაგვიშინა ქათმის კვერცხის სიმსხო სეტყვა ტყვიასავით. ჩემის მტრის თვალსაცნუ უნახავს ეხლა ძარწემისმინდვრები და ვენახები. ის უკვდავი ყანა ისეა ჩარეგვილ-ჩალეწილი და დედამიწასთან გასწორებული, რომ არც ნამგლისა და აღარც ცელის პირი არ მოეკიდება. ულუკმა-პუროდ დარჩენილს ხალხს დაუკრეფია გულ-ხელი და თვალ-ცრემლიანი დაჰყურებს ხელმეორედ აჯეჯილებულს ყანას. ბევრი მიწა თავიდამ-ბოლომდე ნიაღვრისაგან არის წალეკილი და აღარც-კი ეტყობა, თესებულა რამე იქ, თუ არა. ვაზებსა და კაკლებს ისე აქვთ ფოთოლი გაცვივნული, რომ შემოდგომას მოგაგონებთ, რომ შეხედოთ. სიმინდიც აგრეთვე ჩამოფხავებული და ფოთლები ყაშა-ყაშა აქვს დაფხრეწილი. სეტყვა მეტის მეტად მსხვილი იყო, ექვს-კუთხი, როგორც ვარსკვლავი და სამ დღემდის არ გამდნარა. მეორე დღეს, როგორც გამვლელ-გამომვლელებმა სთქვეს, სეტყვა ცხენს გზაზედ მუხლამდე სწვდებოდა. თავი გაუტეხა რამდენსამე მწყემსსა და მინდორში მომუშავე ხალხს. მოჰკლა შვიდი სული თხა-ცხვარი. მინდორში აუარებელი დახოცილი მტრედი, მწყერი და სხვა ფრინველეული ეყარა. ასევე დასეტყვილა აჩაბეთი და ქურთა. ხალხს უნდა გუბერნატორს მიართვას თხოვნა, რომ თითო-ოროლა კოდის პურის სასყიდელი ფული მაინც გამოუვიდეს.

⁂ განსვენებულის სომეხთ არტისტის ადამიანის სახელობაზედ სომეხთ ახალ-გაზდობას სტამბოლში „სათეატრო საზოგადოება ადამიანის სახელისა“ დაუარსებიათ იმ განზრახვით, რომ სომეხთა შორის თეატრის სიყვარული გაავრცელონ.

⁂ სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს საბჭოს წევრმა ბ-ნმა არნოლდმა, რომელიც რამდენიმე დღეა, რაც ჩვენს ქალაქში ჩამოვიდა, შაბათს საბრეშუმო სადგური დაათვალიერა „მუშტაიდ“-ის ბაღში.

⁂ სოხუმიდამ სწერენ გაზ. „კავკაზ“-ს, რომ ეს რამდენიმე თთვეა აქაურს მთიულთა სკოლას შეკეთება დაუწყეს და უნდათ ოთხკლასიან სახელოსნო სასწავლებლად გადააკეთონ. იმასაც ამბობენ, რომ მთიულთა სკოლაც დარჩება და სახელოსნოსაც სხვას გამართავენო—ან სოხუმში ან იმის ახლო ადგილებში. ამ საქმისათვის ამ დღეებში მოელიან ბ-ნს აკოფოვს, რომელმაც უნდა ადგილი აარჩიოს მომავალ სახელოსნო სასწავლებლისათვის.

სიმინდის მოსავალს ძლიერ კარგს მოელიან სოხუმის მხარესაო, იწერება კორესპონდენტი.

⁂ „ნოვ. ობოზრენიე“-ს შეუტყვია, რომ ტფილისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე იუსტიციის სამინისტროს დაჰკითხებია: უცხო სარწმუნოების კაცი, რომელმაც რუსული ლაპარაკი იცის, განსაკუთრებით რუსულს ენაზედ უნდა დააფიცონ სასამართლოში, თუ არაო.

ეს საკითხი იმ გარემოებამ გამოიწვია, რომ ამას წინად ბ-ნმა გ. იზმიროვმა ოლქის სასამართლოში არ დაიფიცა რუსულს ენაზედ. ბ-ნი იზმიროვი, როგორც ვიცით, სამართალში მისცა სასამართლომ და მე-2 განყოფილების მომრიგებელმა მოსამართლემ დამნაშავედ სცნო იმაში, რომ არ აასრულა კანონიერი მოთხოვნილება ოლქის სასამართლოს თავმჯდომარისა, რისთვისაც მიუსაჯა 25 მან. ჯარიმა.

ბ-ნი იზმიროვი ამ განაჩენის კმაყოფილი არ დარჩა და საკასაციო საჩივარი უკვე შეუტანია, რომლითაც თხოულობს მოსამართლის განაჩენის დარღვევასა და მოსპობას.

⁂ ივლისის 29, საღამოს 10 საათზე, თუმანოვის ქუჩაზე მეეტლემ № 25 ეტლი დაატაკა მელქო ვარნაზოვის სამის წლის ბავშს. ბავში მსუბუქად დაშავდა. მეეტლეს დაეძებენ.

◆◆

არჩილური, შვიდ-თავი

(სამღრთო ამოცანები)

—

მცოდნეც არის და მგრძნობელიც
ქვეყნის წინ თვისის ვალისა,
აყოლ-დაყოლით არას სჯის, არც
მნაყველია წყალისა;
იცის „რა სთქვას და რა სწეროს, მიმწვდომი“ სამართალისა,
არაფერს შერება „მოდითა“, მძებნელი საცნო კვალისა;
შიგ ჰჭვრეტით იკვლევს საგანსა, საბჭობსა, საცილობელსა.
ვერ ჰგმობს საქებელს მტრისასაც,
ვერც აქებს თვისს საგმობელსა;
იწყალებს საწყალს, ავს რისხავს, მსახურებს მხარეს მშობელსა,
ლიტონად, ცოცხლად გიამბობს, „მარად დღის“ მწვავს სათხრობელსა.

◆◆

სოხუმიდგან ახალ ათონამდე

(მგზავრის შენიშვნები)

(დასასრული. იხ. „ივერია“ № 158)

ახალ ათონის მონასტრის წისქვილი ოთხ-სართულიანია. მეოთხე სართულში ხორბალსა, ან სიმინდს ჰყრიან, აქედგან ჩამოდის ხვიმირებში, რომელიც მესამე სართულშია, იფქვება და ჩადის მეორე სართულში, სადაც ტომრებს ავსებს. პირველს სართულში გაკეთებულია ორი დიდი ფურნე. ამ სართულში ჩამოდის გაცრილი ფქვილი ზემოდგან. აქვე ჰზელენ და აცხობენ თვით ბერები. ის იყო გამოეცხოთ პური, როცა მივედით.

აკეთებს თავად-აზნაურობა? ამ საკითხავებზე, ვგონებ, რომ ღირდეს პასუხის მიცემა. მოდი ვიტყვი და რაც იქნება, იქნას: სოფელს მოსწონს ყველაზე მეტად კარგი წლის მოსავალი. კაცად ის მოსწონს, ვინც იმას პატივსა სცემს, ვინც იმას არ აწუხებს, არა სძარცვავს. თუ ართმევ თავისს კუთვნილსა და საკეთილოდ ჰხმარობს, სოფელს არ დაეწუნები. თითონ რომ ლოთია სოფელი, რატომ ლოთი კაცი არ მოსწონს? არ მოსწონს და მოდი მოაწონე ძალად, კაცია და გუნება. არა უშავს-რა, ამ ულოღიკობისათვის სოფელი ნუ დაგვეწუნება, რა ვუყოთ, წესია და კანონი: კაცი თავისს ვალში ძელს ვერა ჰგრძნობს და სხვისაში-კი ბეწვსაც ჰხედავს.

მაშ მათე მღვდელი რადღა მოსწონს სოფელს? იმიტომ-რომ ყოველს კვირა-უქმეს სწირავს და ქადაგებასაც ეტყვის, ხალხს გონებაზე აყენებს, სოფლის ფიქრი მოძრაობაში მოჰყავს. კარგად უწყის მამა მათემ, რომ თუ მარტო ხორცისათვის იზრუნა კაცმა, სული დაჰკნება, და თუ სული დაჰკნა, მაშინ ლეშიც გაიხრწნება; უწყის მღვდელმა, რომ თითონ მწყემსია და სოფელი სამწყსო, თუ არ მოუარა, არ უდარაჯა სოფლის სულსა და გულს, დაიღუპება, მგელი წარიტაცებს. კიდევ რად მოსწონს მათე მღვდელი სოფელს? იმიტომ მოსწონს, რომ შებრალება იცის, მუდამ იმაზე-კი არ არის დამდგარი, რაც შეიძლება მეტი მოვხვეჭო და მოვხვეტოვო, არამედ ჰგრძნობს, ბეჩავსაც შებრალება უნდაო, ბეჩავს ჯვარს მუქთადა სწერს, კვდება-და, მუქთად ჰმარხავს, ბეჩავის ობლებთან თითონაც სტირის.—როცა ბეჩავს მძლავრი მიესევა საცემრად, თუ მოსაკვლელად, თითონ ზედ ეფარება: მე მომკალით, მე მცემეთ, ოღონც ამას-კი ნუ სცემთო.

— შენ გენაცვალე, მათე მღვდელო, შენაო! ამბობს ამ დროს სოფელი.

კიდევ რად მოსწონს მათე მღვდელი სოფელს? რადა და მადა, რომ მხნე კაცია, ძალიან მხნე. იმაზე ადრე ვერავინ გაიღვიძებს სოფელში. გუთანი თითონ უჭირავს, ურმის თავზე თითონ უჯდება, ეზიდება თივას, ძნას თუ შეშას, ჰბარავს და სხლავს ვენახს, სთოხნის სიმინდსა, ერთს წამს არ დადგება, არ დაისვენებს, „ჩამდინარი წყალია“ სწორედ. თუ დრო აქვს, გადიკიდებს ბადეს და მიდის წყალზე სათევზაოდ... მკაში ერთიც ვერა სჯობია, ოფლში გასწურავს მუშებს, გვერდში ამომდგარი და თავზე ხელსახოც წაკრული „ჰოპუნას“ ძახილით.

— ოო, წორე გითხრა და მეტი მუშა კაცი რომ აღარ შეიძლება ჩვენს მღვდელზე. ქვას გაადნობს, ქვასა, ეგ დალოცვილი, დიდი ოფლის კაცია. ამბობს სოფელი თავისს მღვდელზე.

ხალხში მხიარულია, სმა-ჭამაში ზომიერი. მხნეობს, თითონ იკლებს და შვილებს-კი სკოლაში ზრდის.

კიდევ რად მოსწონს მამა მათე სოფელს? იმიტომ რომ პურადია, გულ-უხვი. მათე მღვდლის სახლის კარებთან არ გამოილევა მთხოვნელი თუ ავეჯისა, თუ პურისა და თუ ღვინისა.

ქალოო, საცერი გვათხუეთოო! შესძახის ფეხ-შიშველა სოფლის გოგო შუშების მაგიერად ქაღალდებ-გაკრულ ფანჯრიდგან.

— ქალოო, სამი პური გვასესხეთოო, დედა ჩემმა გამომგზავნა, ნათლია გოგია მოგვივიდა, ეხვეწება დედაკაცი მღვდლის სახლობას.

— რაღას იხვეწიებთ, აიღეთ, მიეცით!.. გაისმის ხმა მათე მღვდლისა.

კიდევ რად მოსწონს სოფელს მათე მღვდელი? იმიტომ რომ ღვთის ამორჩეულია, იმასთან ახლო სდგას, სამღთო წერილი უჭირავს ხელში და მღვდელია.

რატომ არ მოსწონს სოფელს მისი დიაკვანი და „ტარასტა“? იმიტომ რომ ზარმაცები არიან, გაურჯელები, მსუნაგები, გაკრეჭაზე, გამოცინცქლვაზე უჭირავთ თვალი და ხატებს სანთლებსა ჰპარავენ. სოფელს ცოტა მიზეზი ეყოფა კაცის შესაძულებლად, მით უმეტეს ეკკლესიის მოსამსახურისა...

**

სკოლა თუმც არ მოსწონს სოფელს, მასწავლებელი რადღა მოსწონს? იმიტომ რომ ახალგაზდა კაცია, ახლად „წვერ-დაწამებული“, ხათრიანობს, ხალხის სიყვარული აქვს, ყველას ძმობით ესაუბრება, ყველას თავ-მდაბლად ეპყრობა. ატყობენ, რომ მასწავლებელს გული შესტკივა სოფლისათვის, თუ-კი რამ ღონე აქვს, სცდილობს ყველას უშველოს, უსმელად მთვრალია, საქმეზე თავ-დადებულია. ხალხს ესაუბრა სკოლის აშენების თაობაზე და რომ ვერაფერი გააწყო, ცრემლები გადმოსცვივდა. ალბად მაგ ახალგაზდა კაცს კარგი რამ უდევს გულშიო, იფიქრა ხალხმა... დიაღაც, რომ უდევს და ბევრიც რამ, ეხლა უზის მაგას ღმერთი გულში და ვინ იცის, როდემდის არ გასწირავს, როდემდის იქმნება ანთებული მაგის გული იმ ღვთიურის ცეცხლით?!

სოფელმა უარჰყო სკოლის აშენება, მასწავლებელმა სოსომ არ დაიშალა, ერთს ფანჩატურში გამართა სკოლა და იქ ასწავლის ბალღებს... თითქოს სოფელმა პირ-ფერობა არ იცის, თითქოს სოფლისაგან გამიგონია „სწავლისთანა რა იქნება ეხლანდელს დროშიაო“, თითქოს სოფლელის პირით გამიგონია დავით გურამიშვილის სიტყვები, რომ

სწავლა თან დასდევს მცოდნესა
რა ზომაც დაეტარების,
აქვს უხილავი საუნჯე,
ხელი არ შეეკარების,
არც ცხადის ძალით წართმის,
არც მალვით მოიპარების.
ჭკვა უხმარ არს ბრიყვთათვის,
ჭკვა ცოდნით მოიხმარების.

ეს ხომ იცის სოფელმა, მაგრამ რა ვიცით, ისევ ის უნდა ვსთქვათ, რომ კაცია და გუნებაო. სწორედ რომ ამ შემთხვევაში გუნება, რაღაც სხვა ფიქრი უვლის სოფელს. თუმც სოფლის მხრით ეს დაბრკოლება ნახა, მაგრამ სოსომ მაინც თავისი არ დაიშალა და ამიტომ მოსწონს იგი სოფელს. მე თითონ ვნახე იმისი სკოლა, ფანჩატურში გამართული; თვით სოსო მშიერ-ტიტველია, როგორც მისი შეგირდები, მაგრამ მხნედ მყოფი, გაუტეხელად მშრომელი. მაშინ ზამთარი იყო. შეგირდებს სახელმძღვანელოები არც-კი ჰქონდათ, დაფების მაგიერად სიფრიფანა ქვებზე აწერინებდა, მაგრამ ასწავლა, სკოლის საქმე მაინც კარგად წაიყვანა, ბავშვებსაც ღილის ფერი ედოთ სიცივისაგან, თითონ სოსოც გალურჯებულიყო, მაგრამ მაინც მხნედ იყო.

— ხომ დაიხოცნენ ბავშვები სიცივისაგან? თუ-კი თითონ არ იქნებიან სწავლა, რაში-ღა უნდათ მეთქი? შევნიშნე სოსოს.

— რა ვქნა, თუ-კი მეტი ღონე არ არის. ბავშვებს უსწავლელებს, უგუნურებს-კი ვერ დავსტოვებ, ისევ დაი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პური თეთრია და გემრიელი; როგორც ხაზაზებმა მითხრეს, კვირაში ორჯელ, ხან სამჯერ ვცხობთ ოც-და-ათს ფუთს პურს თითო გამოცხობაზეო. წისქვილის პირდაპირ დიდის მთის წვერზედ სამი ძველი კოშკია, რომელიც, როგორც ეტყობა, ძალიან დიდის ხნის აშენებულია. აქავე ძველი ეკლესია, დარღვეული და ნახევრად ჩამოქცეული, რომლის წინ აუშენებიათ ეხლა პატარა სამწირველო ივერიის ღვთის-მშობლის სახელობაზედ. ეს ეკლესია, როგორც ბერძნულ წარწერებიდგანა სჩანს, აშენებულია მეორე საუკუნეში მეფე ტრაიანის დროს. ამ ეკლესიიდგან თითქმის ორმოცის ვერსის სიშორეზედ სჩანს თვალ-გადუწვდენელი სარკესავით ზღვა და მიდამო მთა-ველი. ამ მთის ძირში არის შენობა მოსამსახურეთათვის და გვერდით დიდი გომები და თავლაა. ამ შენობების შემდეგ ბაღები და ვენახები იწყება. ბაღებში სთესია ყოველნაირი ბოსტნეულობა და სხვათა შორის ყოველ ნაირი ბადრიჯანი, გოგრა, პილპილი, მდოგვი და ხარდალი. აქვე გვერდით გაშენებულია პატარა ჭალა, რომელშიაც 5,000 მეტი ზეთის-ხილის ხე დგას. მონასტერსა ჰყავს აგრეთვე 800 გეჯა ფუტკარი. სახნავ-სათესი, საძოვარი, მთა და ტყე იმდენი აქვთ, რომ ამოდენა მონასტერს ეყოფა. 1875 წ. 6 სექტემბერს, როცა ათონის ბერებს მიეცათ უმაღლესის მთავრობისაგან ამ მონასტრის განახლების ნება, ამასთანავე ებოძათ 655 დღიური სახნავ-სათესი, 200 დღიური საძოვარი, 400 დღიური მთა და ტყე. მონასტერსა აქვს აგრეთვე საკუთარი სამჭედლო, სადურგლო, სამკერვლო, სახარაზო და წმიდა სანთლის ქარხანა.

ბაღების გადმოსწვრივ არის შვიდი ტბა, თვით ბერებისაგან გაკეთებული. ძირში ყველა ტბას დაგებული აქვს ცემენტი და ისეა მომართული, რომ წყალი ერთის ტბიდგან მეორეში გადადის და ბოლოს ზღვას ერთვის. საშუალო სიღრმე ტბებისა შვიდიდამ რვა არშინამდე იქნება. ამ ტბებში ჩადის მდ. ფსირცხის წყალი და შიგ თევზი უთვალავია; ზოგი იმისთანა თევზი ვნახე აქ, რომ იმის მაგვარი თევზი არსად მინახავს არც ქართლსა და არც კახეთში. როცა თევზის დაჭერა უნდათ ბლომად გაუშვებენ რომელსამე ტბიდგან წყალს და ისე ჰკრეფენ მშრალზე თევზებს. 1888 წ., როცა იმპერატორი მობრძანებულიყო მონასტრის სანახავად, როგორც ბერებმა მითხრეს, ერთი ტბა დაეცალათ წყლით და ოც-და-ათი ფუთი თევზი ამოეყვანათ. ტბები დაშორებულია ერთი ერთმანეთისაგან 4 ან 5 საჟენზედ და შუა-და-შუა გაკეთებულია ზეთის ხილის ხეივნარები, ხოლო ტბის კიდეებზედ-კი სთესია ნაირ-ნაირი ყვავილი, რომელიც, როგორც მითხრეს, ზამთარ-ზაფხულს ერთთავად ჰყვავის. რადგან ეხლანდელი მონასტრის შენობები ცოტაა და ვერ იტევს ბერებს, ამისათვის, უმაღლესის მთავრობის ბრძანებით, დაწყებულია ახალი შენობა, რომლის საძირკვლის ჩაყრას თვით იმპერატორიც დასწრებია. ის შენობა ახლანდელ მონასტრის შენობების უკან არის უფრო მაღლობზედ, სიგრძით 70 საჟენი იქნება და სიგანით 45. საძირკველი და კედელი ვიდრე ოთხ არშინამდე სულ თლილი ქვისა აქვს და მერე სქელის რუსულის აგურით არის ნაშენი. ჯერ მარტო ერთი სართულია აყვანილი, ისიც ერთს სიგრძეზედ. შენობა ორ სართულიანი უნდა იყოს და 300-მდე ოთახი უნდა გაკეთდეს ბერებისათვის. შენობის ოთხივ კუთხივ აშენებული იქნება მოზრდილი ეკლესიები, ხოლო შუაზედ ეზოში დიდი ტაძარი წმ. მოწამე პანტელემონის სახელზედ. როგორც ხუროთ-მოძღვარმა მითხრა, ათს წელიწადზედ ადრე ვერ დამთავრდება ეს შენობა.

ვათავებთ რა ამ მცირე შენიშვნას, ორიოდე სიტყვა უნდა ვსთქვათ ბერების ცხოვრებისა და იმათს რაოდენობის შესახებ. ამ ჟამად მონასტერში ორასი ბერი ითვლება და სამასამდე მორჩილი. წირვა-ლოცვა ყოველთვის რუსულად არის, იმ წესით, როგორიც მონასტერშია. მთელს დღე და ღამეში ბერები ლოცვას ანდომებენ თორმეტს საათს. ლოცულობენ შუაღამისას, თორმეტს საათზედ, დილის ორს საათზედ, ხუთს საათზედ, რვა საათზედ და საღამოს შვიდს საათზედ. ორშაბათობით, ოთხშაბათობითა და პარასკეობით ერთხელა სჭამენ ბერები პურს თერთმეტს საათზედ, რადგან კვირაში ამ სამდღეს მარხულობენ; დანარჩენს დღეებში სადილობენ და ვახშმობენ.

პურის ჭამის დროს დაირეკება ზარი და ყველანი მოიკრებენ თავს სასადილო ოთახში, სადაც სამ რიგად სხედან თავიანთის წინამძღვარითურთ. ერთი ბერთაგანი რიგით კითხულობს იმ წმინდანის ცხოვრებას, რომელსაც იმ დღეს იხსენიებს ეკლესია. სადილს შემდეგ ისვენებენ ორს საათს და შემდეგ მუშაობას იწყებენ ზოგი მინდორში, ზოგი სახელოსნოებში, ზოგი ვენახებში და ზოგიც წისქვილში.

ზ. ჩხიკვაძე

წვრილი ამბავი

ამ უკანასკნელს დროს რამდენჯერმე მოხდა, რომ კაცს ფერადის წინდების ტარებით სისხლი მოეწამლა. აი ეხლახანაც ერთს ბერლინელს მაღალის საზოგადოების ახალ-გაზდა ქალს ესეთივე ამბავი დაემართა. ერთს ფეხზედ პატარა გაფხაჩნილი ჰქონიყო და სწორედ იქიდგან მოეწამლა ფერადს წინდას სისხლი. ექიმებმა ურჩიეს, ფეხი უნდა მოგჭრათ, თორემ ცუდი საქმე დაგემართებაო, და საბრალო ქალიც დასთანხმდა და მოაჭრევინა.

— დრო ფულიაო, ამბობენ ინგლისელები და კიდეც ამართლებენ თავიანთს სიტყვას, მაგალითად, გაზეთ „Sydney Herald“-ის რედაქტორი ძლიერ ძვირად აფასებს დროსა და ამიტომ შემდეგი წესი შემოუღია თავის გაზეთის რედაქციაში: ვისაც ჰსურს, რომ რედაქტორს ესაუბროს, ჯერ კანტორაში ბილეთი უნდა იყიდოს და ამისი ნება მიიღოს. რვა მანათ ნახევრიანის ბილეთის ძალით შეუძლიან, სრული ერთი საათი ესაუბროს რედაქტორს, იმის ნახევარ ფასად—ნახევარ საათი და თუ ვისმე მხოლოდ ცოტა რამე აქვს მოსალაპარაკებელი რედაქტორთან, იმან ძლიერ ცოტა უნდა გადაიხადოს, მაგრამ უფასოდკი მაინც არ შეუძლიან, რედაქტორთან სალაპარაკოდ მივიდეს.

— მკურნალი როტი შემდეგს საყურადღებო ამბავს იხსენიებს სახადის გავრცელებისას რძის ყიდვის წყალობით. ერთს სახლობაში უმაწვილი სახადით ავად გამხდარა. ბავშვის დედას ძროხა ჰყოლია და რძეს თურმე ჰყიდდა მეზობლებზე. ახლად მოწველილი რძე ყოველთვის იმ ოთახში სდგმიათ, სადაც ავადმყოფი წოლილა. გასულა რამდენიმე ხანი და იმ ოჯახში კიდევ სამი სხვა გამხდარა სახადით ავად. ავად გამხდარან აგრეთვე მეზობლებიც, რომელნიც ამათგან ჰყიდულობდნენ რძესა; ასე რომ მოკლე ხანში სულ თერთმეტს კაცს შეჰყრია სახადი. რადგან ძროხა სრულიად საღი აღმოჩენილა, ამითი მკურნალებს შემდეგი დაუსკვნიათ: რადგან რძე ავადმყოფის ოთახში მდგარა, ამიტომ სახადი რძეს გადასდებია და იქიდგან კიდევ იმათ, ვისაც ის რძე უსვამსო.

— პრინცესა სოფიო, მეუღლე საბერძნეთის ტახტის მემკვიდრისა, ასული ქვრივის დედოფლის ვიქტორიასი, და გერმანიის იმპერატორის ვილჰელმ მეორისა, ხელმეორედ უნდა მოინათლოს. ათინიდგან სწერენ ერთს გაზეთს, რომ კონსტანტინოპოლის პატრიარქმა არ შეიწყნარა პრინცესა სოფიოს პირველი ნათლობა, რადგან წყალში არ ამოუვლიათ და მხოლოდ მირონ-ცხების წესი აუსრულებიათო. ათინის ყველა გაზეთს პატრიარქის მხარე უჭირავს. ეხლა ამბობენ, პრინცესა დასთანხმდა და მეორედ მონათვლას აპირობს, პატრიარქისა და გაზეთების თხოვნისამებრო.

— ამას წინად ერთი 83 წლის დედაბერი გარდაიცვალა ქალაქს ლიონში. მის მიერ დატოვებულს ანდერძის ქაღალდში სხვათა შორის შემდეგი ეწერა: „რადგანაც მკურნალი N თავგამოდებითა ზრუნავდა ჩემის ჯანმრთელობისათვის და ამდენი ხანი მაცოცხლა, ამიტომ სულ იმისთვის მიანდერძებია, რაც ჩემს პატარა ყუთშია შენახული“. დამარხეს დედაბერი და ახლა იმის ანდერძის საქმეს შეუდგნენ. გახსნეს სხვათა შორის მკურნალის ყუთიც და შიგ მხოლოდ წამლებით სავსე შუშები ჰნახეს. რაც უკანასკნელ 10 წლის განმავლობაში ექიმს დედაბრისათვის წამალი გამოეწერა, დედაბერს არც ერთი არ დაეხარჯა და სულ ხელ-უხლებლად ენახა ამ ყუთში. სუმრობაც ამასა ჰქვიან.

წერილი რედაქციის მიმართ

გეგზავნით 16 მანათს, რომელიც მოვაგროვეთ დ. სურამში თავად ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობაზედ დაარსებულ ფონდის სასარგებლოდ. უმორჩილესად გთხოვთ, დაბეჭდოთ თქვენს პატივცემულს გაზეთში სია შემომწირავთა.

გ. ყიფიანი 2 მან., გ. ყიფიანი 1 მან., ი. ხიდირბეგოვი 1 მან., ეკ. მუსტისა 1 მან., კ. დიდებულიძე 1 მან., ა. გაბაშვილი 1 მან., ა. ყუბანაშვილი 1 მან., ზ. მაჭავარიანი 1 მან., ი. მურვანიშვილი 50 კ., გ. მაჭავარიანი 50 კ., ი. ქურდევანიძე 50 კ., ა. შაროევი 50 კაპ., ს. ჯობაძე 20 კაპ., ზ. ჯობაძე 20 კაპ.,

---

ხოცნენ ისა სჯობია. უსწავლელის ყოფნა რა ყოფნაა, უსწავლელის სიცოცხლე რა სიცოცხლეა.

კიდევ რად მოსწონს სოსო სოფელს? იმიტომ-რომ კარგებს ელაპარაკება. ჩვენ ძმანი ვართო, ძმურად ვიცხოვროთ, ძმურად ხელი მივაწოდოთ ერთმანეთს გაჭირვების დროს, ერთმანეთის შებრალება გვქონდესო, ერთმანეთს ნუ დავჩაგრავთ, უსამართლოდ ნუ მოვეპყრობითო. ერთმანეთი შეიწყალეთ, რომ სოფლის საქმე კარგად წავიდეს, ერთმანეთში პირი გქონდეთ, საქმე ჯერ გასინჯეთ, გაჩხრიკეთ, ყველამ თავისი სათქმელი სთქვით და რომელიც უკეთესს იტყვის, იმას დაუჯერეთ, იმისს სიტყვაზე დაადეგითო; ნუ აიხირებთ, ნუ გეწყინებათ, ან-კი რა საწყენია, ვინც ჰკვიანია და გონიერი, იმას რომ მიჰყვეთ კვალზეო; მდიდარი და ჯიშიანი კაცი ნუ იფიქრებთ იმას ღარიბსა, უჯიშოსა და ბეჩავზე, რომ მაგას ჭკუა ვინ მისცა, მაგის ჭკუაზე როგორ გავიაროთო, განა ღარიბსა და ბეჩავს-კი დააკლო ღმერთმა მადლი ჭკვისა და დაუწერა, როგორც ბეჩავი ხარ, ისე უჭკოც იყავიო, როგორიც უჯიშო აქამდის იყავი, ამას შემდეგაც აგრე დარჩიო, ნულარ ეცდები, შენი ჯიში, შენი ყოფა გააუკეთესოვო. არა, ღმერთი ყველასათვის ღმერთია, როგორც ეს სოფელი ყველას გეკუთნით და თითოეულს თქვენგანს შეუძლიან სთქვას, როცა გკითხავთ სხვა სოფლელი თქვენის სოფლის სახელს,—გაწყალებულიო.

კიდევ რად მოსწონს სოფელს სოსო? იმიტომ რომ მისი სახლის კარი მუდამ ღიაა, ვისაც რა უნდა, ყველას შეუძლიან შევიდეს, დასაწერი ექნება—დააწერინოს უფასოდ, საკითხავი ექნება—ჰკითხოს. რასაც ამბობს, ასრულებს, შებრალებას ჰქადაგებს და თითონაც შემბრალეა. ბოქაულთან და მამასახლისთან უთანხმოება მოსდის ხალხის გულისათვის, ეუბნება: ხალხს ნუ აწუხებთ, ხალხს ნუ სცემთ, ნაცემი კაცი საცემრად ვარგა, სხვად არაფრადაო; სოფელს თავ-მოყვარეობას, სიამაყეს ნუ უთრგუნავთ, ნუ უკლავთ გულშიო, სისხლს ნუ უწყალებთ ძარღვებში, გულზე სარქველს ნუ ჰხურავთ, პატივისცემით მოეპყარით, რომ ისწავლოს სოფელმა ერთმანეთის პატივისცემაო. ერთხელ სოსოს ბოქაულთან შეტაკებაც მოუხდა, როგორ თუ მეთევზე ქიტესას სილა შემოჰკარიო.

— ვენაცვალე ჩვენ მასწავლებელს ი სულშიო! სთქვა მაშინ სოფელმა.

კიდევ რად მოსწონს სოფელს მასწავლებელი? იმიტომ რომ, თუმცა ბევრმა მდიდარმა აძლია ქალიშვილი ცოლად მზითვით და ქრთამით, მაგრამ არ ინდომა, საწყალი ვინმე უნდა შევირთოვო, ამბობდა და აასრულა კიდეც: ერთი საწყალი მშიერი და ტიტველი გოგო შეირთო, ეხლა ორივენი ბედნიერად სცხოვრობენ ერთს ხომ უყვარს, მეორეს, არა მარტო ებრალება, კიდეც უყვარს. აი ამისთვის მოსწონს მასწავლებელი სოფელს, რომ სრული კაცია, სრული ადამიანიშვილი. მიიტანს ყრილობის დროს გაზეთებს, წიგნებს, ჩაუჯდება შუაში და უკითხავს ალტაცებით: სატირელია სტირის, საცინელია—გულით იცინის და სხვებსაც სიცილითა ჰხოცავს.

— გიშველა ღმერთმა, მადლობელი ვართ, ჩვენო მასწავლებელო! ამბობს ამ დროს სოფელი: აი გაცოცხლა ღმერთმა და გადღეგრძელა!

**

რატომ არ მოსწონს სოფელს მამასახლისი? იმიტომ რომ მანამ მამასახლისად ამოირჩევდნენ ჰკვიანი, ცხვარივით ბიჭი იყო, და ამისთვისაც ამოირჩია სოფელმა. როდესაც ამოირჩიეს და ჯაჭვი დაჰკიდეს ყელზე, მაშინ-კი სრულიად გამოიცვალა: შედგა მაღალ-ქუსლიანს „აპოიკის“ ჩექმებზე, დაიკერა ბუზმენტები ჩოხაახალუხზე, დაუჭერია ხელში მათრახი, ვინც ქუდს არ მოუხდის და როგორც ყეინს სალამს არ მიართმევს, გადუხტება და მათრახით „აპრელებს“. უსწავლია რუსულად ლანძღვა. დაავიწყდა დღეს, გუშინ ვინ იყო და ხვალ ვინ იქნება ეს დიდებული ყეინი. მუცელი რომ გაიძღო, ახლა სხვა-და-სხვა გვარი გაძღომაც მოინდომა, ფუფუნება, განცხრომა.

— ძნელია სწორე გითხრა, როცა კაცს კაცი, თუ კაცს სოფელი მარტო დღეისათვის უნდა და სახვალიოდ აღარ უფრთხილდება. „მე სოფლის თავსა ვესახლე და არა სოფელი ჩემს თავსა, რაც მე სოფლისთვის მინდოდა, უწინ მოვიდა ჩემს თავსაო“, ძნელია რომ კაცმა არ იცის! ამბობს სოფელი.

კიდევ რად არ მოსწონს მამასახლისი სოფელს? იმიტომ-რომ სოფლის ფულებსა სჭამს და როცა სოფელი უჩივის, მაშინ მეუფროსეს შემწეობასა სთხოვს. გამარჯვებული რომ დაბრუნდება, მამალყინწასავით გაბერილი წაუდგება სოფელს და შესძახებს:

— ჰაი, თქვე „ბუნტოჩიკებო“, ჰაი თქვე მაშენიკებო, ჰაი თქვე რაზბონიკებო, დამაცადეთ, მე გიჩვენებთ თქვენ სეირს. თუ ჩემი ნაჩალიკი ცოცხალი მეყოლება, გაგიხარიან,მე თქვენ ზურგზე ბოლი აგადინო-ყე. თქვენი ჯავრი—ჰოი და-და-და-და-და—როდის უნდა ამოვიყარო, როდის?! ჯამით უნდა დავლიო თქვენი სისხლი, ჯამით!!.

სოფელი პირჯვარს იწერს, ამბობს:

— დიდება შენთვისა, ღმერთო, დამბადებელო ჩვენო, ნეტა რა ჯავრი უნდა ჰქონდეს ამ კაცს სოფლისა!.. რა დაუშავა სოფელმა იმის მეტი, რომ მამასახლისად ამოირჩია და მშიერი კაცი გააძღო. ობოლო, ვისა სცემ-და, ვინც გამზარდაო. მაგის საქმეც სწორედ აგრეა. მაგისთანა კაცს თუნდა ხელის გულზე ერბო-კვერცხი მოუწვი, მაინც უმადური დაგრჩება და მაინც.

კიდევ რად ეჯავრება სოფელს მამასახლისი? მადა, რომ წამ და უწუმ იძახის: „მე სხვა გოგრა მაქვს, მე სხვა კაცი ვარ, მე სხვა ფიქრი, შორს გამჭვრეტელი ფიქრი მაქვსო! მაშ რის მამასახლისი ვარ, დღეს სოფლის უფროსი რათა ვარ, თუკი სოფელზე მეტი ჭკუა არა მაქვსო?!.“ აღარ ახსოვს ამ ჰკვიანს, სოფელი რომ ხუთს თუმანზე გაჰყიდა: ჯერ განაჩენი შეადგენინა სოფელს დუქნების დაკეტვისა, მოწმობას აღარ აძლევდა „გილდის“ ალებისას და, როცა ხელის გული მოუპოხეს, მაშინ მოწმობაც მისცა და „ფეჩატიც“ დაუკრა.

— სოფლის მოღალატე ღმერთმა დასწყევლოს, ღმერთმა დაჰკარგოს, ღმერთმა ამოაგდოს!.. ამოაგდებს კიდეც, სოფელს დიდი მადლი და დავლათი აქვსო!.. ამბიბს გამწყრალი სოფელი.

ვაჟა-ფშაველა

(დასასრული იქნება)

დ. დარსაველიძე 20 კაპ., ი. გაზაროვი 20 კაპ., ს. იანათამოვი 20 კაპ., მ. ალექსიძე 20 კაპ., გ. შაბურიშვილი 20 კაპ., გ. გუნცაძე 20 კაპ., ს. გუნცაძე 20 კაპ., გ. ლაშხი 20 კაპ., ზ. არუწოვი 20 კ., გ. ვარსიმოვი 20 კ., ი. კეპულაძე 20 კ., გ. ციცქიევი 10 კ., ი. ჭანკოტაძე 10 კ., ვ. სამათბეგოვი 10 კ., აგაძე 10 კ., ე. კერესელიძე 10 კ., ა. სალაბატონის ასული 1 მან., ა. მაჭავაროვი 1 მან.

დავით მურვანიშვილი

◆◆

ეტერბურგის ბირჟა, 26 ივლისი

	მყიდველისა.	გამყიდველისა.	გაყიდულისა.
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ-მანათიანი ოქრო	7,42	7,45	— ,,
ტამოჟნის კუპონები	148½	149½	— ,,
მანეთიანი ვერცხლის ფული	1,09	1,12	— ,,
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი	240	— ,,	— ,,
—მეორისა	229	— ,,	— ,,
—მესამისა	— ,,	— ,,	— ,,
სახელმწიფო თავად-აზნაურთაის ბანკის ფურცელი	213	— ,,	211
გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა	— ,,	— ,,	— ,,
ქუთაისის ბანკისა	— ,,	— ,,	— ,,
ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა	— ,,	— ,,	— ,,

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით, ნაშუადღევის 4 საათზე მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურში შეივლის).

კვირაობით, საღამოსაც, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს, შორის გზით.

პარასკეობით, დილით-ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შეივლის).

შაბათობით, დილით, სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე დამასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით, დილის 9 საათზე, და მასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია ანატოლიისკენ წამსვლელ გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკეობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამის გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებიდან გადაწყვეტილს გზაზე გემები.

განცხადებანი

ქ. სიღნაღში ახლად გაიმართა

წიგნის მაღაზია

ალექსანდრე მაჭავარიანისა და ამხანაგობისა

იქვე იღებენ ყდის კეთების საქმეს ლუკა მოსულიშვილის სახლებში.

ისყიდება აგრეთვე კანცელარიის ხელსაწყო.

(19—77—16)

ქართველთა ამხანაგობის წიგნების მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი ახალი წიგნები:

	მ.	კ.
პატიოსანი ადამიანი	„	5
ლენტის მსგავსნი ჰიები ი. თ.	„	5
მეფე დავით აღმაშენებელი, ისტორიული დრამა თ. ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანისა	„	40
უკანასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისა, ვიქტორ ჰიუგოსი, ფრანგულით თარგ. თ. სახოკიასი.	„	30
სამნი ბრძენნი, ილ. ოკონთელისა.	„	20
ძმური სიტყვა. დ. მაჩხანელისა	„	25
იქავე ისყიდება-**თორნიკე ერისთავი**, ისტორიული პოემა აკაკისა	1	„
ავაზაკნი, ტრაგედია ანტ. ფურცელაძისა	„	30
სამი ბრძენი, ილ. იკოთელისა.	„	20
დავით აღმაშენებელი, დრამა.	„	40
უკანასკნელი დღე სიკვდილით დასჯილისა, ვიქტორ ჰიუგოსი. თარგ. თ. სახოკიასი	„	30
ხალხური ლექსები, შეკრებილი აღნიაშვილის მიერ.	„	30
ლექსები ნ. ბარათაშვილისა. ახალი გამოცემა.	„	30
რამდენიმე ლექსი ცახელისა.	„	15
თხზულებანი გ. ერისთავისა, მშვენიერს ყდაში ავტორის სურათით	2	„
ქართულ-რუსული ლექსიკონი დ. ჩუბინაშვილისა სამივე ნაწილი	8	„
ქართული ლექსიკონი, შედგენილი საბა-სულხან ორბელიანისაგან	3	„
გზა ცხოვრებისა, შედგენილი წმიდისა ალ. ლიგუორისაგან	1	„
წინამძღვარი ზეცისა	„	50
წმიდათა ცხოვრება	1	20
იგავნი ფილოსოფოს ეზოპისა	„	40

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები

	მან.	კაპ.
„ვეფხის-ტყაოსანი“ მე-12 გამოცემა, ოზურგეთში; ფასი	„	30

ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში

ისყიდება

ახლად შედგენილი ვრცელი

სამზარეულო

ქართული და ევროპიული საჭმელებისა.

წიგნი შეიცავს 636 გვ. 5—9 ფორმ. შიგ მოთავსებულია 871 სხვადა-სხვა დარიგება საჭმელების მოსამზადებლად და ხორაგეულის შესანახად. ჩართულია ხაზებით ასო, ასო დაყოფილი ძროხის სურათი.

განყოფილებანი 1. წვნიანი საჭმლები, 2. სხვა-და-სხვა ნაირი საწებელი, 3. მწვანეულობა, 4. ხორცი ძროხისა, ხბოსი, ცხვრისა, ღორისა, ფრინველისა და სხვ. ცივად, შემწვარი და მოხრაკული, 5. თევზეულობა, 6. კუპატი და პაშტეტები, 7. პუდინგები, 8. ბლინები, ერბო-კვერცხი, ომლეტი, კვერცხები, 8. მაროჟნი, კრემი, ზეფირი, ბლომანჟე, მჟავე ფაფა, კომპოტი, 9. ფაფეულობა, ხაჭაპურები, კაფლი და ბურბუშელა, 10. ტორტები, 11. სამარხო საჭმლები, 12. პური, ბაბა ანუ პასკები, ბულკები, კულიჩები, სუხარი, კრენდელები და სხვ. 13. მურაბები, 14. ღვინო, ნალივკები, კიშმიში, შიპოვკა და სხვ. სასმლები, 15. მაჟარი, მდოგვი და სხვ. 16. რძე, ნაღები, მაწონი, კარაქი, ერბო, ყველი და სხვ. 17. ხილეულობის შენახვა, 18. მწვანეულობის შენახვა, 19. მწნილები, 20. ხორცის შენახვა.

ფასი წიგნისა ექვსი აბაზი

წიგნები ისყიდება აგრეთვე ქართველთა ამხანაგობის აგენტებთან: სოხუმში—ფილიპე ერქომაიშვილი, ბათუმში—ბესარიონ კალანდაძე, ფოთში—კონსტ. ნოდია (წიგნის მაღაზია) ოზურგეთში—კონსტ. თავართქილაძე (წიგნ. მაღაზია) ქუთაისში—ძმ. წერეთლები (წიგნ. მაღაზია) დ. ზესტაფონში—იოს. კაკაბაძე, მარტვილში—ილია ჭაჭანიძე, ზუგდიდში—ანდრ. შავთაკა, ხაშურში—იოს. ფანცულაია, ახალციხეში—ნიკ. ასათიანი, გორში—არს. კალანდაძე (წიგნის მაღაზია) განჯაში—დიმ. ქვლივიძე და იაკ. ნოდია და თელავში—მიხ. ცისკარიშვილი.

გამოიცა ალექსანდრე რონინაშვილის მიერ

„ძმური სიტყვა“

დ. მაჩხანელისა

და ისყიდება შემდეგს ადგილებში:

ტფილისში „წერა-კითხვის საზოგადოების“ და ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში;
ქუთაისში ძმ. წერეთლების წიგნის მაღაზიაში;
გორში არსენ კალანდაძესთან;
თელავში ილია ზარაფოვთან;
სიღნაღში კოტე ბაღაშვილთან და კოტე ნადირაშვილთან.
ოზურგეთში კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში.

წიგნი ღირს ხუთ შაურად. ვინც 10 ცალს ერთად იყიდის გამომცემლისაგან, აბაზად დაეთმობა. (10—79—10)

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

1891 წ. 1-ს იანვრიდამ გამოდის ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

12 თვით	10 მ. — კ.	6 თვით	6 მ. — კ.
11 ,,	9 ,, 50 ,,	5 ,,	5 ,, 25 ,,
10 ,,	8 ,, 75 ,,	4 ,,	4 ,, 70 ,,
9 ,,	8 ,, — ,,	3 ,,	3 ,, 50 ,,
8 ,,	7 ,, 25 ,,	2 ,,	2 ,, 75 ,,
7 ,,	6 ,, 50 ,,	1 ,,	1 ,, 50 ,,

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ ,,ივერია‘‘ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты ,,Иверія“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

ქართველთა ამხანაგობის წიგნების მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი ახალი წიგნები:

	მ.	კ.
„უკანასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისა“ ვიქტორ ჰიუგოსი, ფრანგულით თარგმანი თ. სახოკიას-მიერ	„	30
„ცვარი“ საყმაწვილო წიგნი, სურათებით, შ. მღვიმელისა.	„	30
ლენტის მსგავსნი ჰიები ი. თ.	„	5
ხალხური ზღაპრები, შეკრებილი აღნიაშვილის მიერ, წიგნი I.	„	30
იგივე, მშვენიერის ყდით	„	75
თხზულებანი ი. დავითაშვილისა სურათით და ბიოგრაფიით.	„	80
იგივე მშვენიერის ყდით	1	25
„დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა“ ლეგენდარული პოემა ბაჩანასი.	„	15
„სურამის ციხე“, გამოც. მესამე გრ. ჩარკვიანისა	„	25
„მარაბდა“ პოემა ანტ. ფურცელაძისა	„	20
„წყალობა“, პოემა მისივე	„	20
„ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა“ ანუ „მეორე ნაწილი ქართლის მოქცევისა“ გამოცემული რედაქტორობით და წინასიტყვაობით ე. თაყაიშვილისა.	„	40
ანდერძი ანტონის მე-II, საქართველოს კათალიკოსისა, გამოცემული დ. ფურცელაძის მიერ.	„	30
რამდენიმე ლექსი ცახელისა	„	15
„სამი ისტორიული ხრონიკა“ ექვ. თაყაიშვილისა	1	„
„Древнѣйшіе предѣлы разселенія грузинъ по Малой Азіи ა. ხახანაშვილისა.	„	50
„ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდის“ ისტორიული გამოკვლევა ა. ხახანაშვილისა.	„	50
„ქართული სახელმძღვანელო ნოტებისა“, შარაბიძისა	„	60
„დემეტრეს სახლობა“, მოთხრ. ს. მგალობლიშვილისა	„	15
„თამარ-ბატონიშვილი“, ისტორ. რომანი რჩეულიშვილისა	1	„
„Руско-грузинскій словарь“ вновь составленный по новѣйшимъ словарямъ, დ. ჩუბინაშვილისა	3	„
„არჩილიანი“, გამოც. მაჩიტაძისა-დიმელისა	„	75
„მიბაძვა ქრისტესი“, თხზ. თომა კემპელისა, თარგ. ლათინურიდგან ა. მღებრიშვილისა, წიგნი მე-III და მე-IV ყდით.	„	80
იგივე უყდო	„	60
„მიბაძვა ქრისტესი“, წიგნი I. და მე-II. ყდით.	„	70
„შვილის აღზრდა“, პედაგოგიური წერილები თ. ხუსკივაძისა	„	20
„ყმაწვილების ფიზიკური აღზრდა“ გ. იოსელიანისა.	„	20
„ძველის-დება“ მეფე გიორგი ბრწყინვალესი“ ნ. ურბნელისა	„	25
„ივანემ რა ჰქმნა“, მოთხრ. ი. გოგებაშვილისა.	„	10
„კიკოლას ნაამბობი“, ისტ. პოემა აკაკისა	„	20
„ბორკილი“, დრამა, თარგ. ა. ახნაზაროვისა	„	40
ჟანნა-დარკ	„	5
ბერლინის გარემოცვა.	„	5

ქალაქ გარეთ მცხოვრებთ შემდეგის ადრესით უნდა მიჰმართონ: Тифлисъ. Въ Книж. Магазинъ „Грузинскаго Издательскаго Товарищества“, Лорисъ-Меликовская ул., д. Зубалова.

Довв. ценз. Тифлисъ, 30-го Іюля 1891 г. სტამბა მ. შარაძისა, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში № 21 რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე